

ჩემდამთა

მელიქიშვილის ქუჩაზე, პრეტე ჩიგეშვილის სახ-
ლებში.

ხელის მოწერა

ჩემდამთა და სტ. მელიქიშვილის სტამბაში.
ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Тифлисе. ВЪ
ред. № 110 газеты „Дროზა“.

გაზეთის ფასი

წელიწადში 8 — მან., და ნახევარ წელიწადში —
4 მან., და 50 კაპ., თვეში — 1 მან.
ცალკე ნომერი — ერთი შაური.

დროება

გამოდის კვირკობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა
ცუხულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასტვით, მხოლოდ — 1 კაპ., ასო-მთავრულით,
ატრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ — 5 კაპ.
პეტიტით — 4 კაპ.

მთ სავიროება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს
და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა,
დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

1876 წლის ხელისმომწერა

მომავალს 1876 წელს გაზეთი

„დროება“

გამოვა იმავე პროგრამითა და მიმართულებით, როგორც ამ 1875 წელს
გამოდის.

რედაქცია ეტდება მხოლოდ, რომ, რამდენათაც იმისაგან დამოკიდე-
ბული და დამოუკიდებელი გარემოებანი ნებას მისცემენ, კიდევ უფრო
საინტერესო, უფრო სასარგებლო და საჭირო გახადოს თავის გაზეთი მკით-
ხველებსათვის.

ხელის მოწერა მიიღება თ თ ი ლ ი ს შ ი — „დროების“ რედაქციის კან-
ტორაში (მელიქიშვილის ქუჩაზე, პრეტე ჩიგეშვილის სახლებში) და აგრეთვე სტ.
მელიქიშვილის და ა. მ. ხ. სტამბაში (ზანაოვის ქუჩაზე, ამბუხის სახლებში).

გარეშე მცხოვრებთა თავიანთი მოთხოვნითა ამ აღრესით უნდა
გამოგზავნონ: ВЪ Тифлисе, въ редакцiи газеты „Дроиза.“ ამ მოკლე
ხანში გამოვაცხადებთ, სხვა ქალაქებში ვისთან შეიძლება გაზეთზე ხელის-
მოწერა.

გაზეთის ფასი — გაზეთით და გაუგზავნელად	მან.	კაპ.
წელიწადში	8	—
ნახევარ წელიწადში	4	და 50
სამის თვისა	2	და 50
ერთის თვისა	1	—

ამვე საჭიროთ ვრაცთ გამოვაცხადდეთ, რომ მომავალი წლი-
დამ გაზეთი ნისიით არაჲის არ გამოგზავნება, გარდა იმ პირებისა,
რომელთათვის პასუხის-გებას თვითონ „დროების“ აგენტები იქი-
სრამენ.

მთხოვთ ჩვენ მომავალ ხელის-მომწერლებს, რომ თავიანთი მოთხო-
ვნილება დროზე გამოგზავნონ, რადგან უამისოთ იმათი აღრესების დაბეჭ-
დეა დაგვიანდება; ვითხოვთ აგრეთვე, რომ ხელის-მომწერთა სახელი, გეა-
რი და საცხოვრებელი ალაგი გარკვევით იყოს დაწერილი.

საქართველო

ქართული წიგნების განცხადება

წიგნების გასაღება — დიდი დაბრ-
კობება ჩვენებური გამოცემების-
სათვის. როგორც ამას წინათაც
ვაქვით, უკანასკნელი ორი-სამი წლის
განმავლობაში ძალიან ბევრი წიგ-
ნები გამოვიდა ჩვენში; მაგრამ ყვე-
ლა გამოცემები სჩივიან, რომ,
თუმცა წიგნები გადის, ისედაც,
მაგრამ ფული კი არ შემოდისო.

მიმეორებთ, ეს დიდი დაბრკოლე-
ბა წიგნების გამოცემებისათვის,
რადგან გამოცემები საზოგადოთ
ჩვენში ისეთი ღარიბი ხალხია, რომ
მელსაც მეორე და მესამე წიგნის გა-
მოცემა ისე არ შეუძლია, თუ პირ-
ველად გამოცემული და გაყიდული
წიგნიდან ფულები არ შემოვიდა.

შეველია, რომ ის „გამომცემელთ
საზოგადოება“, რომელიც, როგორც
ისმის, ძალაქში არსდება, თვითონ
გამოცემის საქმის მოთავეების შემ-
დეგ; ყველაზე პირველად იმას მიაქ-
ცევს ყურადღებას, რომ იმისაგან გა-
მოცემული წიგნები რიგანათ გასა-
ღდეს, რადგან უამისოთ საზოგადოე-
ბას თითქმის არსებობაც არ შეუძლიან.

ამ ნაირად, წიგნების გასაღება ისე
თი საგანია, რომელსაც მჭადროთ

დამოკიდებულია წიგნების გამოცემა
და თვით ლიტერატურის მდგომარეო-
ბაც. ამის გამო ყოველი ჰაზრი და
წინადადება ამ საქმის შესახებ ძვირ-
ფასი უნდა იყოს.

ხშირად, ძალიან ხშირად გავიგონია
სხვა და სხვა მხრის სოფლის მცხო-
ვრებლებისაგან, რომ ბევრს გესურს
გაზეთის დაბრება, მაგრამ უბედურე-
ბა ეს არის, რომ ფოჩტა არ არი-
სო და გაზეთის მიღება შეუძლებე-
ლი საქმეაო. რამდენსამე სოფელში,
რომელიც ან უფლის ქალაქისა და
ან სტანციის მახლობლად არის, იბა-
რებდნენ ხოლმე გაზეთსაო, მაგრამ მმა-
ლე თავი დაანებეს, რადგან გაზეთი
ხან ორ-კვირაში და ხან თვეში ერთ-
ხელ მიუღიოდათ, ისიც შემთხვევით,
და ხან კი ზოგიერთი ნომრები სრუ-
ლობით ეკარგებოდათო.

დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენს
სოფლებში ფოჩტა ან რომელიმე
სხვა საშუალებით წესიერი კაე-
შირი და მისელა-მოსელა იყოს ძა-
ლაქთან, ერთი-ორად და სამათაც
გავიდოდა ჩვენი ქართული დრო-
გამოშვებითი გამოცემანი.

მა გარემოება გვიმტკიცებს, თუ
კიდევდა საჭიროა ამის დაბეჭდება,
რომ ჩვენს სოფლებში კითხვის სურ-
ვილი არის.

ამ სურვილის დაკმაყოფილება
აღვილად შეიძლება.

ამისათვის ცუდი არ იქნება, ჩვე-
ნის ჰაზრით, რომ ქართული წიგნე-
ბის გავრცელების მსურველთა ის
მაწანწალა მოვაჭრე აიღონ ტიპათ,
რომელნიც გაიკიდებენ ზურგზე სხვა
და სხვა ფართალს და საქონელს,
აღვირენ თავს, მთელი წლის განმა-
ვლობაში სოფელ-სოფელ, კარი-
კარზე დაიარებიან და ხან ერთი სო-
ფლის მცხოვრების სახლში შევიდნენ
და გაშლიან თავიანთ ფართალსა და
ხან მეორესაში.

პი ამისთანა სამი-ოთხი მარჯვე და
პატიოსანი მოსიარულე ბიჭი უნდა
იზოვნოთ, ანგარიშით ჩაბაროთ წი-
გნები და გზა დაულოცეთ ერთს,
ესთქვით, ძახეთისაკენ, მეორეს ძარ-
თლისაკენ და მესამეს იმერეთისაკენ.

რასაკვირველია, ემჯობინება, ყო-
ველ უფლებში რომ შეიძლებოდეს
ამისთანა მაწანწალა ბიჭების ყოლა.
მაგრამ, რადგან, მეგონია, ეს ჯერ-
ჯერობით ადვილად ასასრულებელი
არ იქნება, სამს ან ოთხს რომ დაე-
ჯერდეთ, ისიც იკმარებს.

უფლის აგენტებთან ისევე ძველ-
ბურად შეიძლება იყოს წიგნები: ამ
ბიჭებს რომ ყოველთვის ძალაქში
მოსვლა არ დასჭირდეს, როცა ერთ-
ხელ წაღებული წიგნები გამოვლე-
ვთ, შეუძლიანთ ამ უფლის აგენტ-
თან მივიდნენ და იქილამ წაიღონ
კიდევ წიგნები.

სოფელ-სოფელ და კარი-კარზე სი-
არულს გარდა, ყველგან, სადაც სო-
ფელში დღესასწაულია და განსაკუ-
თრებით სადაც იარმუკობა იციან,
ერთის სიტყვით, სადაც ხალხი გრო-
ვდება, ეს ბიჭი იმ წამსვე იქ უნდა
გაჩნდეს, მოხსნას თავი თავის ტომა-
რას და გადმოშალოს წიგნები.

თვეში ან სამ თვეში ერთხელ
ბიჭები უფლის ან გუბერნიის ქა-
ლაქში დაბრუნდებიან, ანგარიშს წა-
რუდგენენ იმათ, ვისგანაც წიგნები
მიიღეს და ამ ანგარიშითვე ფულებ-
საც.

აქედამე დარწმუნებული ვართ,
რომ ეს მაწანწალა ბიჭები უფრო
რიგანათ და ბლომათ გაასღებენ
ჩვენში ქართულ წიგნებსა, ვიდრემ
ის ახლანდელი უფლის აგენტები,
რომელთაც მომეტებულ ნაწილს
კუთხეში უწყვიათ თურმე დაბეჭერი-
ანებული წიგნები და თუ ათასში
ერთი გასაღდეს, იმის ფულებსაც იმ-
ეთათად ეღირსებიან ხოლმე გამო-
ცემლები.

ს. მესხი

დღიური

ჩვენ შევიტყვეთ, რომ სახალხო
შკოლების დირექტორის, უფ. ბ.

ლომბერიძის ძახეთში მოგზაურო-
ბას უნაყოფოთ არ ჩაუვლია: რო-
გორც ამბობენ, ამ მოგზაურობის
დროს, შეიღ თუ რეა სოფელს გა-
მოუცხადებია სურვილი სახალხო
შკოლისა და სასოფლო ბანკის
გახსნისა.

ამას გარდა ჩვენ გავიგონეთ, რომ
თ. იასეს შაეჭავაძე ამ დღეებში მი-
დის მისიელში იქაური სასოფლო
ბანკის გასახსნელად.

* *

რამოდენიმე წიგნი მოგვივიდა ამ
კვირაში, რომლებშიაც სულ სოფ-
ლის გზებს უჩივიან.

იმერეთიდან, სხვათა შორის, გვეწე-
რენ, რომ თუ სადმე არის აქ თითო-
ოროლა გზა, ისეთ ალაგებზე არის
გაყვანილიო, რომ სოფლის ხალხი
მაგდენათ ვერ სარგებლობსო. მზის
გაყვანის დროს ჩვენში კერძო-პირე-
ბის (უფრო თავადი-მეილების) სარ-
გებლობას აქცევენ ყურადღებას და
ამის გამო მთელი სოფლები ხშირად
გზაზე მოშორებული რჩებაო.

მრთმა ახალქალაქიდან ახლად
ჩამოსულმა გეაგმაო, რომ მოხსნეს
გზაზე ისეთი ღაფი იყოო, რომ მერ-
თი ფურგონი ჯერ ტალახში ჩაეფ-
ლაო და მერე ამოღების დროს, ცხე-
ნება უეცრად ფეხები დაუცდათ და
ღელეში გადაეარდნენ ფურგონიან —
კაციანთაო. მეფურგონე როგორც
ყოფილა გადარჩენილა, მაგრამ ცხე-
ნები კი დახოცილა და ფურგონიც
დამტყვეულა.

* *

შორაპნიდან გვეწერენ, რომ ამ
ორი-სამი წლის წინათ, აქაური უფს-
დის მმართველის განკარგულებით,
გზებზე საყარაულო ბუდეები იყო
ამყენებულიო, სადაც დანიშნული კა-
ციები კარაულობდნენო. სანამ ყარა-
ულები იყვნენ, მანამ ქურდობა და
აეზაკობა ისე ხშირად აღარ ისმო-
დაო; მაგრამ ახლა, როცა საყარაუ-
ლოები დაკარგილდა, ისევე გახშირ-
და ჩვენში ყოველ-გვარი ცუდ-კაცო-
ბა და აეზაკობაო.

* *

უფ. ი. ალხაზოვი გეაცნობებს,
რომ ახალციხეში უნახავს იქნას აბ-
დულ-მესსია - შავეთლის ლექსები,
უფ. პლატონ მოსელიანისაგან გა-
მოცემული 1838 წელს. ამას ჩვენ
იმიტომ ვაცხადებთ, რომ ეს წიგნი
ახლა ძალიან იშვიათი სანახვია. წი-
გნზე, სხვათა შორის, შემდეგი მი-
ღენა აწერილა:

„მთს უმაღლესობას, მეთხია სოლომონ
II სა მეუღლეს დედოფალს მარამ ძაცია
დღიანის ასულის მდ ბლ დ მიუძღვნის ტფი-
ლ სის სემინარიასა შინა ფილოსოფიის და

ფიზიკის მასწავლებელი, ღვთის მეტყველების კანდიდატი პლატონ იოსელიანი. აგვისტოს 24-სა 1838 წელსა. ტფილისი.

* *

მრთი მასწავლებელი ქუთაისის სასულიერო სასწავლებლისა—უფ. ჩიმაკიძე გასულ შაბათს მიწვეული ყოფილა იქაური სობორის არხილიკონთან. საღამო ჟამი ყოფილა და ჩის შეეკცეოდნენ. მასწავლებელი ფანჯარასთან იჯდა თურმე, ამდროს უეცრად ქუჩიდან ვიღაცას ქვა ესროლა, ქვას, რასაკვირველია, ფანჯარა გაემტვრია და საწყალ მასწავლებელს კისერში მოხვედრია. სააეთმყოფოში რომ გაუსინჯეს კისერი, აღმოჩნდა, რომ კისრის ძარღვები ფანჯრისამტვრევს მინას გაუჭრიაო. აეთმყოფი ძალიან ცუდა მდგომარეობაში არისო. თუმცა იმ წასვე გამოძიება დაუნიშნავეთ, მაგრამ დამნაშავე ჯერ კიდევ არ აღმოჩენილა.

* *

ამას წინათ ზემო იმერეთის ერთს გლეხს თავის ცოლისთვის დალატი შეუწამებია და გაბრაზებულს აულია ხმალი, შემოუტრავს და იქვე სული გაუგდებინებია.

* *

მდვისს გაზეთს „ნოვოროსისის ტელეგრაფში“ იწერებია, რომ მთელს ამერიკაში მხოლოდ ერთი ჩვენებური კაცი ეპტრობსო, ჩილაღელფიაში. ეს ეპტარი ქართველია, უფ. ბეთანელი. ამას ჯერ მარტო ძავეკასიასთან აქვს ეპტრული კავშირი და შემდეგ მთელ რუსეთთან უნდა გამართოს ეპტრობაო. უფ. ბეთანელი ოთხი წელიწადია, რაც ამერიკაში ცხოვრებს; გაიცნო თუ არა ამერიკის აღებ-მიცემა, იმწამსვე მიხვდა, თუ რა მნიშვნელობა ექნება ამერიკის ეპტრულ დამოკიდებულებას რუსეთთანა და, მთელისის ეპტარის მართანოვის შემწეობით, გახსნა მთელისში კანტორა, სადაც იმისაგან გამოგზავნილი სხვა და სხვა მაშინები და სამეურნეო იარაღები ისყიდება. ეს კანტორა, თავის მხრით, უგზავნის უფ. ბეთანელს ამერიკაში ძავეკასიის სხვა და სხვა ნაწარმოებებს: ბეწვეულს, აბრეშუმის საქონელს, სპარსეთის ხალიჩებს, რწყილის წამალს და სხ.

„დროებას“ კორესპონდენცია

ზემო-იმერელი გლეხები

ბლენების კისერზე არის დამოკიდებული მრავალი კაცის რჩენა და ლუკმაპურის მიჩენა; მათგან იზრდებიან მრავალი უკმ-მკამელნი; მათ აწევთ ხარჯი თავის ნაშრომისაგან, ნახევარს ადგილის მებატონეს აძლევენ, და დანარჩენით თავის ცოლ-შვილს ასაზრდოებენ, სახელმწიფო, საბატონო და კერძო გადასახადს აკმაყოფილებენ.

რომ სხვა წოდების ხალხიც იმნაირი თანასწორი მშრომელი იყვნენ, როგორც გლეხები, მაშინ ჩვენი ბედნიერების ჩარხი ნიადგ წალმა იტრიალებს. ამდენს შრომას გლეხები კიდევ

მნით და მამაკათ იტანენ და თითქმის არაფრათ აგდებენ.

მაგრამ მათ უმეტესათ ავიწროებენ ახლის წესით დაყენებული სოფლის მოხელეები. მმართველობამ მათის კეთილ-დღეობისათვის დაადგინა ეს წესები, მაგრამ მათ კი არ ეღივრათ ჯერ ამით სარგებლობა. მინც კი უნდა ამოაჩიონ სოფლის მოხელეებთან, მათთვის მაინც სულ ერთია, ამორჩეული პირი ორი შაურის პატრონი რომ არ იქნეს, შემდეგში გლეხების ნაგლეჯი ფულებით ჯიბეებს იტენის.

ბატონ-ყმობის მოსპობისა და რკინის გზის გახსნის შემდეგ, ძლიერ გამრავლდნენ ჩვენ სოფლებში ნაფარეშები, ნამზარაულები, ნამოურაგები, ქუჩრები, ნაიასაულები და სხვა. ამათ მათი სიყმაწვილის დრო თავიანთ თანამდებობაში გაატარეს; ზოგიერთმა ცოტ-ცოტა რუსული სიტყვები იციან. ღღეს თავიანთ ოჯახებში მოულოდნელათ მოუხდათ ცხოვრება; მაგრამ მუშაობისთვის სუსტი აღმოჩნდნენ. ამნაირი გლეხები დაუტრიალდნენ ზოგნი სოფლის მოხელეების მოგვას და ზოგნი ღამის მიმოსვლის ხელობას.

ამისთანა პირებს საწყალი გლეხები ნასწავლ კაცთ სთელიან და ნიშნავენ სოფლის მოხელეებთან; მაგრამ საქმით კი აღმოჩნდა, რომ გლეხებისათვის ის უფრო სასარგებლო შეიქნა, ვინც არაფერი იცის და უბრალო მიწის მუშა კაცია.

ჩვენი მაზრის უმთროსი, უნდა სიმართლეს სთქვას კაცმა, რადღერიც შესაძლებელია ძლიერ სიმართლის მექონია და მეცადინე გლეხების კეთილ-დღეობისათვის. მაგრამ ზოგიერთი სოფლის მოხელეები ძლიერ ატყვილებენ. რომელიც უფრო გლეხების მგლეჯელია ამ სოფლის მოხელეებში, მიდის და ვევედრება დათხრენას თანამდებობიდან; ამ ნაირს კაცს უარს ეუბნება და არ ითხოვს თანამდებობიდან. რადგან პატროსან კაცთ სთელის. ამისთანა ოსტატური მოქმედებით სახელს იკეთებენ და შემდეგში გლეხებს ტყავს აძობენ.

მინც მსურველია გლეხებში რაიმე თანამდებობა იმოვოს, იმათ აქვს დამოკიდებულება და მეგობრობა იმისთანა პირებთან, რომელთაც გლეხები ყავს დაჭერილი ხელში დროებითი ეალდებულებით, საყნოთ, საბალახოთი და ტყით. ზოგიერთი მებატონეები დაესწრებიან სოფლის ყრილობაში და გლეხები კარგათ გაბედავენ, რომ არაიჩიონ ის პირი, ვისაც ეს მებატონე ხელს მიუშვერს; ხანდისხან გლეხებს პირზე ხელს აფარებენ და მათის სურვილის წინააღმდეგ ამოქმედებენ. თუ არ დამორჩილდნენ გლეხები, რა გზა აქვს: ზოგი ოთხფუნს ვერაფერს გაუშვებს და ზოგს ჯიბრისათვის ნადელს ორ მოც-და-ათს ვერსზე წააღებინებს.

ამ მაზრაში ამას წინათ ერთმა საზოგადოებამ ერთი სამხედრო გზის ფორტებში ნაცვლად ნამსახური გლეხი ამოაჩიო მამასახლისის თანამდებობაზე. ეს გლეხი რიგიან კაცთ მაინდათ, და ამას გარდა გამოცდილი ეგონათ. სამი წელი გაატარა, ზოგმა შენიშნა უწყსოება და მეორეთ ამორჩევის დროს იძახეს: აღარ გვინდაო!—მაგრამ არაინ ვაუგონა: ძალა-უნებურათ კიდევ მეორეთ დანიშნეს მამასახლისათ.

როგორც პირველ ამორჩევის დროს, აგრეთვე შემდეგშიაც დაიწყო თურმე სოფლის ფულების კვრება; კანცე-ლარის სახლის ასამწებელი და მწერლის მისაცემი ფულები რომ შემოეტამა, კიდევ მეორეთ დაიწყო

ფულების კრება. ამან კიდევ თქვენი ქარი წაიღოს; მაგრამ გლეხებს შკოლა აქვს მათს კანცელარიაში და მასწავლებლის მისაცემად მოგროვებული ფულებიც თან მიატანა.

ამაზე იჩივლეს გლეხებმა მაზრის უფროსთან, რომელმაც მისცა ნება საზოგადოებას ყოველს სოფელზე ამორჩიათ თითო ვექილი და ისე ანგარიში მოეთხოვათ მამასახლისისათვის.

ამორჩევის შემდეგ, ვექილები ქათმებივით დაჯდნენ კანცელარიაში და ისე მოახერხეს ანგარიში, როგორც ქათამა გალობა. შემდეგში ვისაც გული სტკიოდა ამ საქმეზე, იმ სოფელებმა დანიშნეს ვექილათ ერთი აზნაური შეილი. რომელსაც შეეძლო რიგიანი ანგარიშის გამართვევა. მამასახლისმა შეხვდა, რომ საქმე მისთვის ცუდათ დაბოლოვდებოდა, და იწყო მეცადინეობა მაზრის უფროსთან, რომელმაც გარდასწყვიტა, რომ აზნაურ შეილი გლეხების საქმეში ნუ დაესწრებო; ამითი ისარგებლა მამასახლისმა და ანგარიში დღესაც გაუწმენდელია და გარბის გლეხების ფულები.

ამ მამასახლისს რომ რიგიანი ანგარიში გამოერთვას, როგორც ამბობენ გლეხები, შექმული ფულები გლეხების დაედება 1,500 მანეთადის. მამასახლისი მამასახლისია, მაგრამ ზოგიერთი სოფლის სუდიებიც ურიგათ და უსინდისოთ იქცვიან: ხანდისხან ერთსა და იმავე საქმეზე სამჯერ შეაყენებენ განჩინებას; მომჩივანი თუ მოპასუხე, რომელიც მეტს გარდაიხდის ფულებს, სამართალს ის წაიღებს. შემდეგ ამ ვასყიდულს სამართალს ჩაწერენ წიგნში.

მხოლოდ ერთი ცოტა იმედი რჩებათ გლეხებს: სოფლის შკოლებს საქმე თუ კარგათ წავიდა და გამრავლდნენ სოფლებში გლეხების ნასწავლი შეილები, შეიძლება ისინი იქნენ დანიშნულნი სოფლის მოხელეებთან და ამითი ცოტათი მაინც შემსუბუქდეს ამ ნაირი გლეხების მდგომარეობა. ამისათვის ყველა რიგიანი კაცი ვალდებულია, თუ შეუძლია, სოფლის შკოლებს აღმოუჩინოს შემწეობა; მაგრამ სამწუხაროთ სიტყვით ბევრს ვხედავთ შეაწეს და საქმით კი ცოტას.

სოფ. ქვალითი.

რუსეთი

მრთს რუსულ გაზეთს გაუგონია, რომ შინაგანი საქმეებისა და ფინანსთ სამინისტროების დათანხმებით გადაწყდა, რომ ყველა მიწები, რომელიც ეკლესიებსა და საეკლესიო პირებს ეკუთვნის, სახელმწიფო ხარჯისაგან განთავისუფლებული იქნებაო.

* *

რუსეთის რკინის გზების მთავარ გამგეობას მოლაპარაკება აქვს ახლა იმის თაობაზე, რომ რკინის გზების ვაგონები უკეთ განათონ.

* *

რადგანაც ამ ჟამად რუსეთის ზოგიერთ გუბერნიებში მიწის ფასი ძალიან დაცემულა, ამის გამო პეტერბურლის ურიებში, როგორც ისმის, რჩევა არის ახლა, რომ ისეთი საზოგადოება შეადგინონ, რომელიც მამულებს იყიდის ან არენდით აიღებს. მითქმის ყველა რუსული გაზეთები

ერთ-ხმად ამბობენ, რომ ამ გვარი საზოგადოების შედგენა შეუძლებელი იქნებაო. რუსეთის პატრონებისთვისა და ამიტომ იმედი გვაქვსო, რომ მმართველობა ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევსო.

* *

ამ მოკლე ხანში პეტერბურლში იქნება ერთი საინტერესო ლიტერატურული საქმის გარჩევა: პროფ. შტატის პოლიციისტი უჩივის გაზეთის „Голос“-ის რედაქტორს უ. ქრავესკის და ერთ ამ გაზეთში სტატიის დამწერს, რომ ბეჭდვითი სიტყვით იმას შეურაცყოფა მიაყენეს.

რუსო ქვეყნები

გარსოგონის არეულობა.

მრთსსლავიანურს გაზეთში დაბეჭდილია ბერცოგოვინელი მეომრის წერილი, რომლიდანაც დაინახეთ—თურა მდგომარეობაში არიან ეს მამულისათვის თავგანწირული კაცები: ჩვენი ჯარები ამ ჟამად ძალიან გაჭირებულს მდგომარეობაში არიან. იმათ ეჭირებათ თოფ-იარაღი, ტანთ-საცმელი და ყველაზე უფრო თბილი ტანთ-საცმელი. ზოგიერთებს წაღებიც არ აცვიათ. თუ ჩვენ საიდამგვე მალე ტანისამოსი და იარაღი არ მოგვაწოდეს, მე არ ვიცი—ამ ზამთარში როგორ იქნება ჩვენი საქმე. ცუდი სადგომები გვაქვს და სიცივე და წვიმები კი დაიწყო. შევლას ვთხოვთ, რითაც შეუძლიანთ დაგვეხმარონ.*

— რაგუზიდან მოვიდა შემდეგი ამბავი ბრძოლის თაობაზე: 21 (9) დეკემბრისთვის ლიუბობრატოვიჩი 1000 კაცით დაეცა ზუბციის ქალაქს, სადაც თათრები იყვნენ გამაგრებულნი; მაგრამ ვერ აიღო. მეორე დღეს, თათრის ჯარი ტრებინის სიმაგრიდამ გამოსულა, სულ 1500 კაცი და ლიუბობრატოვიჩის ჯართან ბრძოლა გაუმართავთ. ამ ბრძოლაში, როგორც სლავიანური გაზეთები გვარწმუნებენ, თათრები დამარცხებულან, უკანვე დაბრუნებულან ციხეში და 150 მკედარი და მძიმეთ დაჭრილები ბრძოლის ველზე დაუტოვებიათ.

გოლგარია. ჩილოპოპოლის მაზრაში არეულობა მომხდარა; მაგრამ მალე დაუმშვიდებიათ.

მამოძიებას აღმოუჩენია, რომ არეულობის მომხდენთ შეთქმულობა ჰქონიათ, რომ სრულიად განათავისუფლონ თავიანთი ქვეყანა მსმალოს დამოკიდებულებისაგან; მაგრამ იქაურ ლუბერნატორს ტუსუსუნ-ფაშას მალე შეუტყვია ეს ამბავი და პოლიციისა და მმართველობის ჯარის შემწეობით აჯანყებულები დაუწყნარებიათ. მამოძიების შემდეგ 200 კაცი დაუტუსალებიათ.

ინგლისი. ნემეცურს „ნაციონალურს გაზეთში“ დაბეჭდილია, ვითომც ინგლისი ცდილობსო, რომ ლონდონში ან სტამბოლში კონფერენცია მოახდინოსო, რომელზედაც მსმალოს ქრისტიანულ ხალხების მდგომარეობაზე უნდა მოილაპარკნ მეროპის იმ სახელმწიფოებმა, რომელთაც 1856 წლის პარიჟის ტრაქ-

საბაასო

პასუხი ინგილო ჯანაშილსა

ღმერთო, რა ძნელი ყოფილა ახირებულ კაცთან ლაპარაკი და მისი დარწმუნება მისთანა ელემენტალურ ქვეყნარტებზე, რომელიც ათითორმეტის წლის ყმაწვილისათვის ადვილ შესაძლებელია მისახდომად! ჩემს სტატიაში სამყოფად დაუმტკიცე უ. ჯანაშილს, რომ ის თავის კორრესპოდენციაში ცუდად და უსაფუძვლოდ ფეკედო როგორც ჩემზე, ისე ძახის სასწავლებელზე. მაგრამ, როგორც ვხედავ, იმ ფქტებს, რომელნიც მე მომყავდა და ეუჩვენებდი ჯანაშილსა მის „ცრუბენტელობას“, ღირსეულად ვერ დაუკმაყოფილებიათ ისა და „ღროების“ №112 და 113-ში გაუტყინურებია კიდევ იმავე საგანზე. ამ თავის სტატიაში ისე გართულა პიროვანს ჩემს სიძულილოში, იმნაირად გამზავებულა, რომ ჰსწორედ ვერ გაურჩევია დაბეჭდილი სიტყვა და დასჯახებია ვაზეთ „ძაკვასა“ და ბრძანებს, რომ „ძაკვასი“ ტყუილია. მიღამ მოგახსენათ, რომ „ძაკვასი“ მართალს ბრძანებსო? ჩემს გასამტყუნებლად უ. ჯანაშილს მოჰყავს იმნაირი საბუთები, რომელნიც არამც თუ მამტყუნებენ, არამედ სრულიად მამართლებენ, თუმცა ამას აეტორი ვერ ხედავს, რადგან იმოდენად გაბრაზებულა და აღელვებულა, რომ ლოკისათვის ყური აღარ უთხოვებია და ზოგიერთ ალავს ზდილობაც დაეწყებია. მე კი მიჩქვს, როგორც პირველად ლიტერატურის აპარეზზე გამოსულსა...

მე შემტლო ეს თქვენი სტატია თითო სიტყვეულად გამერჩია და ისრე დამერღვია თქვენი უხეიროდ შეწებებული ჰაზრები, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ამნაირის ყურადღების ღირსი არ არის ეს თქვენი სტატია.

ბევლთ თქვენი მოყვანილი ანდაზა: „ქარი ჯარში (ლაშქარს) იყო, ცოლი ამბებს ეუბნებოდაო.“ მაშ მე სადღა ვიყავი, უფ. ჯანაშილო? თუ თქვენ იშვიტად შორაღნიდან და ზაკთალიდგან მოდოდით ქხში, მე უფრო თითქმის სრული ოთხი წელიწადი ვიყავი, შიგ შუა სოფელში. აქით თქვენ ცდლობთ დაგიმტკიცოთ, რომ თქვენ, „ძახში“ მცხოვრები, რომელსაც გყავსთ ნათესავები, სახლი კარი და სხ. „ხელგაკვრით“ დაწერილს კორრესპოდენციაში ყველა მართალსა ბრძანებდით ჩემზე და ძახის უკოლაზე. შეცდომაში ხართ, ჩემო კარგო, — თქვენი „სახლი, კარი და სხვა“ არ ამტკიცებენ თქვენს სიმართლესა და ვერც თავმდებად დაგიდგებიან ისინი მაში, რომ თქვენ ძახის სასწავლებელზე და ჩემზედ მართლა ჰსჯოდით. ბაზურ ბეგია ჰსცხოვრებს ძახში, იმასაც ჰყავს ნათესავები, აქვს სახლი, კარი, ჰყავს კატები, ქათმები, ბატყნები და სხ., მაგრამ რაო? რა გამოდგება იმის ყოლიდგან და ქონებიდგან? — მელიას უფრო გამოადგება თავისი კუდი მოწმად, ვიდრე თქვენ თქვენგნით მოყვანილი მოწმები თქვენი სიმართლისა!

თქვენ ამბობთ, რომ, ვითომც, მე თქვენ გეთანხმებით პარველად საბაასო მუხლში, და მოგყავთ ჩემი პასუხი შესახებ იმ მუხლისა. ჰსცდებოთ, უ. ჯანაშილო; ტყუილად ცდილობთ გამონახოთ რაიმე სიტანხზე ჩემსა და თქვენს სიტყვებში, ტყუილად ჰქიქავთ თქვენ ჩემს სიტ-

ტატზე აქეთ ხელი მოწერილი. ზემოხსენებული გაზეთი ამბობს, რომ ს. პეტერბურღში და ვენაში ამ წინადადების თანახმა არ არიანო და ამ ნაირად ეს პროექტი, რომლის მოგონებას ინგლისის ელჩს ლორდ მლიოტს აბრალდებენ, ვერ შესრულდება.

საზრანგეთი. პარიჟის გაზეთებში დაბეჭდილია მამეტას წიგნი. რომელშიაც დიდის დამედებით ამბობს, რომ მომავალ ამორჩევებში რესპუბლიკელები გაიმარჯვებენო. მომავალმა ნაციონალურმა პრებამ, მამბეტას ჰაზრით, სხვათა შორის, უნდა განიხილოს კითხვები: სახალხო განათლებაც, საყოველთაო სამხედრო სამსახურზე, ფინანსიურს მდგომარეობაც და ეკონომიურ უთანხმოების მოსპობაც.

სპარსეთი. თეირანიდამ იწერებინან, რომ სპარსეთში ჯარებს არეულობა მოუხდენიათ. არეულობა თეირანში დაუწყიათ კავალერიის ჯარებს; 2,000 კაცი ამდგრა და ჯერაც არ დაუმშვიდებიათ. პროვინციიდან მოვლის თურმე ჯარებს მთავრობა. არეულობის მიზეზი, როგორც ამბობენ, ის არისო, რომ ჯარისთვის 14 თვის განმავლობაში ჯამაგირი არ მიუციათო.

ქრონიკა

მეფე საურმაგი და მისი დრო

სამეგრელოს მოცილე ერთის მხრით შარნავაზის დის შეილის შეილი იყო, მეორეს — საურმაგის სიძე. სიძეობით ის ბარდბარში გამოდიოდა; მირიანის ნათესაობაში მეფესთან, დედითა და შარნავაზთან ნათესაობით კი მეტი იყო, ამისათვის სამეგრელოს ერისთავს უფრო ეკუთვნოდა მეფობა, ვიდრე მირიან I. ასტყდა იმათ შორის ომი. დასავლეთის საქართველოს ერისთავები მუჯის შეილის შეილს მიემხრნენ, აღმოსავლეთისა მირიანს. პირველის მხარე დაიჭირეს აგრეთვე ჩერქეზებისა და ოსების მფლობელებმაცა. ამისათვის მირიანი იმათ ვერ უმკლავდებოდა. ის ისრე შეიფიწროვებს, რომ ძალაუფლებურად შემწეობა უნდა ეთხოვნა პართენიას მეფისა არშაკისათვის. არშაკი გაერია შინაურს ომში. იმან გაგზავნა სომხეთის ჯარით თავისი ძმა შალარშაკი. შალარშაკმა დამარცხა სამეგრელოს ერისთავი; მაგრამ საქართველოს ბოროტი უყო. იმან ჩამოართვა ერისთავს სამეგრელო და თვითონ დაიჭირა ის შეზღვის ნაპირებთურთ; მირიანი კი დაკმაყოფილა მით, რომ ის საქართველოს ტახტზე დაამკვიდრა. ამ გვარად ირის ქცევას ის მიზეზიც ჰქონდა, რომ მირიანს არ შეეძლო დამორჩილება მთელი საქართველოსი. ბარდა ამისა მთელი ახლანდელი ღარუბანდის ლუბერნია და ნუხის მახრაც ერთს თავის მე-

გობარს, არანს, მისცა. მაგრამ მირიანმა თავის უვარგისობისაგან მოარამც თუ იწყინა სომხის მეფის ამგვარი უპატიოსნო ქცევა, არამედ იმან შინსავამო თავისი ასულიც ცოლად მისცა არშაკის შეილს. იმას უნდოდა არშაკის მეგობრობით გაერახინებინა თავის სამეფოს სამხრეთის მიჯნები და მერმე შეჭდგომოდა შინაური საქმეების გაწყობას და ხალხის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესობას; მაგრამ ამ ღროს ძაკვასის ჩრდილოეთის მხრიდგან შემოვიხია საქართველოს ხალხი ბულგარად სახელწოდებული. ეს ხალხი შემოვიდა ღარილის კარიდგან. მაგრამ მირიანმა ისინი საჩქაროდ განდევნა სომხეთში. სომხის მსფემჰკი ისინი დაიჭრა და მანანდში დაასახლა. ამის შემდეგ მირიანმა ძაკვასის გამოსავალ გზაში ორ კლდის შუა შება კარნი ქეთ-კირითა, რომ მთის ხალხები ველარ შემოვიდნენ საქართველოში და უწოდა ამ კარებს „ღარუბალ“, რომლის ეთიმოლოგიური მნიშვნელობა არის დაბა და ბალ. პირველი ნიშნავს ხეობას, მეორე თაფლს. მაშასადამე წოდება შემდგრა რთული სიტყვიდგან და არის თათრული, რომელიც ამტკიცებს, რომ ის მართლად მირიანმა შეაბა და უწოდა სახელად კარებს თათრულს ენაზე ღარუბალ, და არა ქართულად; რადგან შთამამელობა სპარსული ჰქონდა და ქართული ენა ამისათვის ნაკლებად იცოდა.

მართლაც აქ უადგილო არ იქნება ესთქვათ, რომ მეროპიის გამოჩენილმა მწერლებმა ნეიმანმა და პარლოს რიტტერმა, მიიღეს რწმუნება, რომ მოსე შორენელის მოსხენებული ბულგარები ეკუთვნეიან სლოვენურ ხალხის შთამამელობასო. ღამათ უცხოვრნიათ მე-II საუკუნეში ძრ. დ. წინად. მსენი მოვიდნენ სომხეთში 149 და 127 წლების შუა. (იხ. მე II წიგნის მე-IV თავი).

მაგრამ მე ვამტკიცებ, რომ ეს ბულგარები არიან ღლისტანში მცხოვრები ბულხადარების მონათესავე ხალხნი. ისინი სცხოვრებდნენ სპარსეთში იმ ადგილას, საიდგან შახაბაზმა მე-XVI საუკუნეში აჰყარა ორმოცდა ათი ათასი კომლი და დაასახლა ღლისტანში, „რათა ოღესაც სწადეს სპარსთა შესვლა მხედრობითა ლეკოს, არა ძნელ იყოს მათთვის შესვლა მუნ.“

მაშასადამე როცა დამტკიცებენ მსწავლელები, რომ ღლისტანის ბულხადარები და სლოვენები ერთის შთამამელობისანი არიანო, მაშინ შეიძლება ესთქვათ, რომ მოსე შორენელის ბულგარები სლოვენის შთამამელობისანი არიან. იმ ღრომდე კი შეიძლება ვიფიქროთ, რომ ისინი არიან ღლისტანის ბულხადარებისა შთამამელობისანი, მით უფრო უმეტეს, რომ ეს დაღისტნელები თავის თავს ეძახიან „ბულოდარ.“

მეფე მირიანი, რომლის დროსაც ამ ბულხადარებმა გაიბრინეს საქართველო, მეფობდა 152 და 112 წლების შუა.

ინგილო ჯანაშილი

ყვებში და ათამაშებთ მათ თქვენდა სასარგებლოდ; ჩემი ჰსწრება — შეგნება იმ თქვენს სტატიაზე, მესტრსაქ იმისი პასუხი სხვა განხილვის; მე აქაც ვავიშვებოვდი, მაგრამ არა ვსაჭიროებ, თქვენვე მოხანეთ და იპოვიოთ. ტყუილად ცდილობთ წართვათ ჩემს სიტყვებს თავიანთი ნამდვილი მნიშვნელობა და მისცეთ მათ იმისთანა მიმართულება, როგორც თქვენს ფანტაზიას შეეფერება. მე ვამბობდი თქვენს სტატიაზე: „ეს არის მხოლოდ ცილისწამება და ცრუბეტყველება.“ ეს მე კიდევ დაგიმტკიცეთ ფაქტებითა. ამასვე თქვენ ჰიპასუხებთ: „ამისთვის უნდა დაგვამატებინათ კიდევ ისა, რომ შენ ძრიელ კარგი ატესტატი მიგიღიათ პლეკსანდროვის სემინარიაში კურსის შესრულებაც; მაგრამ ამ შემთხვევაშიაც თქვენი თავის ქება, ზემო მოყვანილი კაცების სიტყვებით, ტყუილი იქნებოდა.“ დიან, უფ. ჯანაშილო, ამასაც გეტყვიოთ, რომ ატესტატიც ძრიელ კარგი და სრულიად ღირსეული მაქვს; იქნება თქვენ ხუმრობდეთ და ან რამე ვქვი გქონდით ჩემი ატესტატის ძრიელ კარგობაზედ; დამშვიდდით გნებადსთ ამასაც დაგიმტკიცებთ, თუ საჭიროება მოითხოვს, და გიჩვენებთ, რომ ქვეყნარტად ღირსი ვარ ამისთანა ატესტატისა, მაგრამ ამას თავი დავანებოთ.

ჩემს სტატიაში მოყვანილი კაცების სიტყვები პირად მე არ შემეხებია, ისინი ამბობენ და აქებენ ძახის სასწავლებელს ჩემი იქ მასწავლებლობის დროს; ეს როგორ არ გეყურებათ? მაგრამ რისთვის და რა მიზეზისა გამო ტყუილნი არიან იმ კაცების სიტყვები?

ა) ამისთვის, ბრძანებთ თქვენ. თქვენ შემდეგ მისულმა მასწავლებლებმა უკვე მოახსენეს რამდენჯერომე, ვისთანაც მოხსენება საჭირო იყო, რომ სასწავლებლის საქმე სამასწავლებლო ნაწილში თქვენ მიერ ცუდად იყო წყვანილი და ამისთვის ძახის უკოლის მოსწავლეებმა არაფერი იციან არც რუსულისა და არც ქართულის ენებისაო...

ბ) ატრეთვე ნახეს, რომ თქვენ ცილსა სწამებდით ინგილოებსა და ატყობინებდით, რაცა საჭირო იყო, რომ იმათ არა ჰსურთ ქართული ისწავლონო.

გ) თქვენს შემდეგ ძახის უკოლაში მყოფ მაწავლებელმა, უფ. მატარაძემ დიდი მადლობა მიიღო ძახში 1874 წელსო...

აბა ახლა დაინახეთ, უფ. ჯანაშილო, რა გამოდის ამ თქვენ მიერ მოყვანილი სიტყვებიდგან. ჩემს შემდეგ ძახის მასწავლებლად იყო უფ. მატარაძე, რომელმაც, თქვენის ბრძანებით, მოახსენა, რაცა საჭირო იყო. რომ, ვითომც, მე სასწავლებლის სამასწავლებლო ნაწილი ცუდად მიმყავდა და ამისთვის მოსწავლეებმა არც რუსული და არც ქართული წერა-კითხვა არ იცოდნენო. უფ. მატარაძის შემდეგ მოვიდა მასწავლებლად უფ. როსტომოვი და იმნაც ისრე მოახსენა ჩემზე, სადაც საჭირო იყო.

აქედგან ცხადათ სჩანს, რომ ვიდრე უფ. როსტომოვი მოვიდოდა ძახში მასწავლებლად, ისევე ისრე მიდიოდა სასწავლებლის სამასწავლებლო ნაწილი, როგორც ჩემ მიერ იყო წყვანილი, რომ იმაში არა ვითარიმე ცელილება არა ყოფილა. მაშ რაღაზე მიიღო უფ. მატარაძემ ძრიელი მადლობა 1874 წელს? მისგან მიიღო, უფ. ჯანაშილო, მატარაძემ მადლობა? ბანა ისევე იმავე პიროგან, რომელსაც უდიდესი სურვილი ჰქონ-

